სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №25
2026 წლის 3 აგვისტო

ქ. სამტრედია

„სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შინაური ბინადარი ცხოველების მოვლა-პატრონობისა და ყოლის წესის დამტკიცების შესახებ“ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 30 ივნისის №20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „რ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **დაადგინა:**

მუხლი 1

1. „სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შინაური ბინადარი ცხოველების მოვლა-პატრონობისა და ყოლის წესის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 30 ივნისის №20 დადგენილებაში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ვებგვერდი, 01.07.2026, სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.120.016553) შეტანილ იქნეს ცვლილება.

2. სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შინაური ბინადარი ცხოველების მოვლა-პატრონობისა და ყოლის წესის მე-7 მუხლის:

ა) მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. თავშესაფრიდან ურბანული გარემოს პირვანდელ ან სხვა მიზანშეწონილ არეალში დასაბრუნებელი ან/და მისაკედლებელი ცხოველების იდენტიფიკაცია ხორციელდება მიკროჩიპით/ტრანსპონდერით ან საყურე ნიშნით (საჭდით). თავშესაფრიდან გასაჩუქებელი ცხოველების იდენტიფიკაცია ხორციელდება აღნიშნული იდენტიფიკაციის საშუალებით.“;

ბ) მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. თავშესაფარში შეყვანილი ცხოველების (ძაღლი, კატა) სავალდებულო იდენტიფიკაციას მიკროჩიპით/ტრანსპონდერით ან საყურე ნიშნით (საჭდით) უსასყიდლოდ ახორციელებს უფლებამოსილი ორგანო, თავშესაფრის მესაკუთრის/მფლობელის სურვილის შემთხვევაში და წინასწარი განაცხადის საფუძველზე.“.

3. სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შინაური ბინადარი ცხოველების მოვლა-პატრონობისა და ყოლის წესის დანართი №1 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დანართი №1

ცხოველის სარეგისტრაციო მოწმობა

N 0000001

ცხოველი:

1. სახეობა .....

2. ჯიში .....

3. სქესი .....

4. ასაკი .....

5. გარეგანი აღწერილობა .....

6. იდენტიფიკატორი .....

(მიკროჩიპის/ტრანსპონდერის ან საყურე ნიშნის (საჭდის) N)

7. მუდმივი ადგილსამყოფლის მისამართი .....

ცხოველის პატრონი:

1. სახელი, გვარი .....

2. პირადი № .....

3. მისამართი (ფაქტობრივი და რეგისტრაციის) .....

4. საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონი (სახლის, მობილური), ელექტრონული ფოსტა)

.....

რეგისტრატორი:

1. სახელი, გვარი .....

2. დასახელება, ID N .....

3. მისამართი (ფაქტობრივი და იურიდიული) .....

4. საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონი (ოფისის, მობილური), ელექტრონული ფოსტა)

.....

..... /სახელი, გვარი/

(ხელმოწერა)

„ ..... “ ..... 202 ... წ.

(თარიღი)

ბეჭდის

ადგილი

ცხოველის პატრონი:

..... /სახელი, გვარი/

(ხელმოწერა)

„ ..... “ ..... 202 ... წ.

(თარიღი)

(ცხოველის სარეგისტრაციო მოწმობის N 0000001 მეორე მხარე ან დანართი)

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **ვაჟა სტურუა**